საქართველოს დემოკრატიული პარტია

ერი

ორშაბათი თებერვლის 26 1921 წ.

ფასი 50 მან.

ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ორგანო.

№ 9

წელიწადი პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციისა და კანტორა.

ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი ს. ფიჩხაძისა. რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის $2^1/_2$ საათამდის. კანტორა ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდის. მისამართი წერილებისა და კორესპონდენციებისათვის ქუთაისი, ფოსტის ყუთი № 80.

დეპეშებისათვის—ქუთაისი ერი. ტელეფონი № 32 წერილები დაწერილი უნდა იყოს ერთ გვერდზე და სუფთად. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქციისათვის საჭიროა წერილის ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ წერილების შესახებ რედაქცია მიწერ მოწერას არ კისრულობს.

განცხადებანი:

განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 25 მან. მე-4-ე გვერდზე 20 მან. საგანგებო განცხადებანი 30 სტრიქონი 1000 მან. 12 საათის შემდეგ 1200 მან.

ხელის მოწერა:

გაზეთი „ერი“ ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში 1000 მან. ცალკე № 50 მ.

ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ერი

მაპეულიეთვილნო!

საშიშროდ განსაცდელშია

ალმოსავლეთის ველური ურდოები საქართველოს ემუქრებიან.

განცხადება
ქუთაისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს იმ პირთა საყურადღებოთ, რომელთაც საღორჩის აგარაკში აღებული აქვთ იჯარით

საყანე ადგილები,

რომ, ვინც მდგომარე 1921 წლის თებერვლის დამლევამდი არ გამოცხადდება ქალაქის გამგეობაში საიჯარო პირობის შესაკრავად, მას იჯარით აღებული ადგილი ჩამოერთმევა და სხვას გადაეცემა.

ქალაქის გამგეობა. 2—2

საქართველოს დემოკრატიული პარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტი და მისი სამხედრო შტაბი აუწყებს საზოგადოებას

ვალერიან (ვალიკო) მელიტონის ძე გარდაფხაძის

ბრძოლის ველზე გმირულად გარდაცვალებას.
დასაფლავება მოხდება შთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში
დღით, კვირას, 27 თებერვალს, წირვის შემდეგ.

ორი მოპირდაპირე ძალა

ევროპა-აზიაში ორი დიდი მოპირდაპირე ძალა ებრძვის ერთიმეორეს: ძალა, გამაერთიანებელი და ევროპის აზიის, და ძალა, რომელიც ამ გაერთიანებას წინ ეღობება.

პირველი ძალაა—დასავლეთი ევროპა და ის ერები, რომელნიც შემაერთებელ გზებზე ცხოვრობენ.

მეორე ძალა კი არის ჩრდილოეთის დიდი მაჯლაჯუნა—რუსეთი—რომელსაც სწადია მსოფლიო შუა გასწყვიტოს და აზია და ევროპა ერთმანეთს დააშოროს.

და ამ ორი ძალის პსიქოლოგია—სხვადასხვაა.

დასავლეთ ევროპას, ამ გამაერთიანებელ ძალას, ახასიათებს რწმენისა და აზრის თავისუფლება, ვინაიდან გაერთიანება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც სხვადასხვა რწმენისა და აზრის ხალხი ერთმანეთს ითმენს და უახლოვდება.

რუსეთი კი წარმომადგენელია მოპირდაპირის რწმენის უარყოფის, არ მოთმენის.

მას სწადია, აზია ბოლშევიზმის სამეფოდ გახადოს, ვინაიდან ბოლშევიკური სოფლხედვა შეუძლებელ ჰყოფს კაცობრიობის შერიგებას, გაერთიანებას.

ეს—ახალი ფანატიკურ სარწმუნოებრივი მოძრაობაა, რომელიც წინ ეღობება თავისუფალ აზრს.

რომელი მიმართულება გაიმარჯვებს?

ფანატიზმისა და თავისუფალი აზრის ბრძოლაში, უეჭველია, თავისუფალი აზრი გაიმარჯვებს.

ეს—ისტორიული აუცილებლობაა.

ამ საერთაშორისო ბრძოლას ვერც ერთი ერი ვერ აუვლის გზას.

მსოფლიური იდეური და პოლიტიკური მიმდინარეობა ყველა ერს თავის კალაპოტში ითრევს და მიაქანებს, როგორც ნაფოტს. ამიტომ ნეიტრალიტეტი—შეუძლებელია.

რომელ მიმდინარეობას-ღა მიჰყვება საქართველო?

როგორც გეოგრაფიული მდებარეობა, აგებულება ისტორიული წარსულისა და კულტურული მხრით საქართველო—ევროპის ნაწილს წარმოადგენს.

მაშ, საკვირველი არ არის, რომ საქართველო ევროპის მიმდინარეობის კალაპოტში მოექცა.

და ჩვენი ბედიც სწორედ ეს არის.

ჯერ ერთი, მარტონი არა ვართ პოლიტიკური იზოლიაციის შდგომარეობას თავი დავაღწიეთ.

მეორე, კაცობრიობის კულტურულ ნაწილთან ვართ.

და, მესამე, მონაწილე ვართ მსოფლიოს ისტორიის პრობლემის გადაწყვეტის დიდ საქმეში.

ასეთი როლი მოგვანდო ისტორიამ.

ამგვარად, ერთსადაიმავე დროს საერთაშორისო საქმესაც ვიცავთ და საკუთარსაც.

თუ კულტურული კაცობრიობა გაიმარჯვებს, ჩვენც გამარჯვებული ვიქნებით.

ჩვენი ბედი მჭიდროდ გადაეწნა დასავლეთ ევროპის ბედს.

აზიისა და ევროპის გაერთიანების საქმეში ჩვენც წილი გვიდვს.

მაშასადამე, უკვე ვართ და მუდამაც ვიქნებით, როგორც დამოუკიდებელი ერი, კულტურული სახელმწიფოების კავშირში.

და, დღე, გვქონდეს ჩვენი დიადი მოწოდების შეგნება!

დღე, თვითეული ჩვენგანი იბრძოდეს ამ მაღალი შეგნებით!

კაცობრიობის გაერთიანებისა და სამშობლოსათვის—აი რისთვის იბრძვის დღეს საქართველო!

ამიტომ ჩვენი გამარჯვება—აუცილებელია.

ვახილ წერეთელი.

რამდენ ხანს გასტანს რუსეთ-საქართველოს ომი.

2.

წინა წერილში ჩვენ გავსინჯეთ ჩვენი პასსივი: გავარკვიეთ, რას წარმოადგენს ის ძალა, რომელიც გვებრძვის დღეს. ეხლა გავსინჯოთ ჩვენი ქტივი; რა შეგვიძლია ჩვენ დაეუპირაპირდით ამ ძალას.

მოქალაქეთნო დაიცავით ნესიერება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვახსოვდეს, რომ ჩვენი უპირატესობა რაოდენობაში არ არის.

რიცხვით ჩვენ ძლიერ მცირე ვართ. ჩვენი ძალა ჩვენს ეროვნულ ენტუზიაზმშია: ჩვენ ვიცავთ სამართლიან საქმეს, ჩვენ ვიცავთ ჩვენს ეროვნულ დამოუკიდებლობას დამპყრობი ძალის წინააღმდეგ.

ჩვენს მხარეზეა მორალური შეგნება და ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ არ ვესხმით არავის თავზე. ჩვენ არ გავსცილებივართ ჩვენი ოჯახის საზღვრებს, მაგრამ მაინც არ გვაყენებენ ჩვენს სახლში: რუსეთიდან ჩამოთრეული ბრბოები, ტიტვულ-შიშველნი და შიმშილისაგან გამხეცებულნი, ჩვენი ნაოფლარით, ჩვენი ნაკოდვილარით ცდილობენ ოდნავ მაინც შეამსუბუქონ ის აუტანელი მდგომარეობა, რომელიც თვითონ შექმნეს თავის ქვეყანაში. რა გაუჭირდებოდა თვალუწვდენელ რუსეთს, რომ მას პატარა საქართველოს ქონება დაეხარბა, ჯერ წესწყობილება რომ ქონოდა შინ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბოლშევიკურმა ანარქიამ მთელი რუსეთის ხალხი გაწყვეტის კარამდინ მიიყვანა. ახლა ჩვენც გვიპირებენ გაწყვეტას, რომ არავინ დარჩეს ისეთი, ვინც წამოაქადნიდა საბჭოთა რუსეთს მის „სარევოლიუციო“ წინსვლას.—

ის საქმე, რომელსაც ვიცავთ ჩვენ, არ არის მხოლოდ საქართველოს ეროვნული საქმე. ქართველ ერთან ერთად საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ შიმართულია არსებითი ინტერესები ყველა კავკასიაში მცხოვრებ ხალხებისა: ჩვენთან ერთად იბრძვის სამაჰმადიანო, კავკასია, სომხეთი, მთიულეთი: მთა ძალით იყო დაპყრობილი წითელი არმიის მიერ. არც დაღესტანში, არც საჩეჩნოში, არც საჩერქეზოში საბჭოთა რეჟიმით არავინ არის დღეს კმაყოფილი. თვით კაზაკების სოფლებში, იმ კაზაკების, რომელნიც რუსეთის იმპერიის უერთგულეს დარაჯებად ითვლებოდენ, არ ჩამქრალა უკმაყოფილების ცეცხლი ბოლშევიზმის წინააღმდეგ და დროგამოშვებით ის ფართე აჯანყების სახეს ღებულობს.

ყველა ზემოთ აღნიშნული ელემენტები შეჰყურებენ საქართველოს, როგორც მხსნელს. ყველას ერთად სწამს, რომ საქართველოა ის ქვეყანა, სადაც ბოლშევიზმი კისერს მიიტეხს; ყველა დარწმუნებულია, რომ ბოლშევიკურ მანქანას საქართველოს ცოცხალი ეროვნული ენერგია დაამსხვრევს. [illegible] თუ ქართველი ერი არ გაამართლებს ამ იმედებს?

მაგრამ კავკასიის ხალხებს მარტო კი არ აქვს ასეთი იმედები. მთელი განათლებული კაცობრიობა შეჰყურებს დღეს საქართველოს და თავის მოქმედებით ცდილობს, უეჭველია, გაუმაგროს მას ზურგი. დღეს დასავლეთი ევროპა ეხმარება საქართველოს იარაღით და სურსათით. დადგება საჭირო მომენტი (ვიქონიოთ სულგრძელობა) ევროპა მოეხმარება მას აქტიურად.

21 თებერვალს ლონდონში დაიწყო კონფერენცია სევრის ხელშეკრულების გადასინჯვად. ამ კონფერენციაზე მოწვეული იყო ანგორაც, რომლის სასარგებლოდ სწორედ გადასინჯული უნდა ყოფილიყო ეს ხელშეკრულება. თავის თავად ცხადია, რომ ამ კონფერენციაზე პირველად ყოვლისა დაისმებოდა საკითხი ანგორის ურთიერთობაზე ბოლშევიზმთან. მას მოსთხოვდენ, ცხადია, შესცვალოს თავისი ძველი პოლიტიკა, რომელიც დამყარებული იყო ბოლშევიკებთან სიმპატიაზე. რა ფორმა უნდა მიეცეს ამ ახალ დამოკიდებულებას, თუ არა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ იარაღით გამოსვლა, როდესაც ის მოისურვებს ევროპის წინააღმდეგ გამოლაშქრებას. იურიდიულად ცნობილ საქართველოზე ივერიშის მიტანა სწორედ ევროპის წინააღმდეგ გამოლაშქრებას ნიშნავს. აქედან იბადება აუცილებლობა ანგორის შეიარაღებული გამოსვლისა ჩვენ სასარგებლოდ.

აი დაახლოვებით ის ძალები, რომელიც გვიცავენ დღეს ჩვენ. შეიძლება, რომ ეს ძალები ჩვენთვის სასურველი სისწრაფით არ მოგვეშველოს. მაგრამ ამან არ უნდა მოგვისპოს იმედი. მთელი ჩვენი არსებობის საკითხი დროს მოგებაში შესდგება. სულგრძელობა—აი რა სჭირია დღეს ქართველ ერს. მეტი თავდაჭერილობა და სიმტკიცე—აი რაზედ არის დამოკიდებული მთელი ჩვენი მომავალი. განა ქართველი ერი, რომელსაც ამდენი უბედურება გადაუტანია, რომლის 25 საუკუნის ისტორია იყო ერთი საშინელი მარტიროლოგია, ვერ მოიკრებს საკმაო სულიერ ძალას, რომ ერთიან ორი კვირის მოთმინებით იყიდოს სამუდამოდ და უდავოდ ეროვნული თავისუფლება? ვისაც ასეთი ეჭვი ებადება, ის არ არის ქართველი.

ს. დარიანი.

ევროპა და ჩვენ

რუსეთის ბოლშევიკები ლენინ, ტროცკი, ჩიჩერინის პირით არწმუნებდენ მთელ ევროპას, რომ ისინი თვითონ თავდასხმითი ომს არსად არ აწარმოებენ; პირიქით ომისა და ყოველგვარი სისხლის ღვრის წინააღმდეგი არიან, და თუ მათ შეტევებს უხდებათ ხოლმე თვით რუსეთში ან მის საზღვრებზე და განაპირა ქვეყნებში, ეს მიტომ, რომ მათი მიმართულების ხალხს ავიწროებენ და სწყვეტენო. ასეთი განცხადებით ბოლშევიკებს უნდოდა ერთი მხრივ ანტანტის სახელმწიფოების ყურადღება მიექციათ და სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება ჰქონოდათ მასთან, შეორე მხრით მთელი ევროპის სოციალისტურ წრეებში გავლენა ჰქონოდათ და ისინიც მოეტყუებიათ, ვითომც ბოლშევიზმს ნიადაგი აქვს თვით რუსეთში და მის განაპირა ქვეყნებშიც. ამგვარი ცბიერი განცხადებით მთელი ევროპა ატყუეს და მათ წარმომადგენლებს აქ ყოველწუთს თვალს უხვევდენ, ადერბეიჯან-სომხეთში მომხდარ ამბებსაც ადგილობრივ ბოლშევიკებს აბრალებდენ და მოსკოვი ვითომც ყოველთვის გვერდზე რჩებოდა.

ამგვარათ აუარებელი სისხლის ღვრა, რაც ბოლშევიკებმა რუსეთში ჩაიდინეს, სულ დენიკინისა და ვრანგელის ამხედრებას მიაწერეს და მთელი ევროპის თვალში ისე გამოჰყავდათ, რომ თავდასხმა სხვისი საქმე იყო და თავდაცვა კი ბოლშევიკების. აი ის თვალსაზრისი, რომელზეც ყალბათ იდგენ ბოლშევიკები და ცბიერი, მზაკვარი საშუალებით, ევროპასაც არწმუნებდენ და მთელ ქვეყანასაც ატყუებდენ.

დღეს სულ სხვა დამტკიცდა. რუსეთიდან გადმოცვენილი ბოლშევიკების ჯარი, მტაცებლობისა და ავაზაკობის მიზნით, ვერაგულათ და მხეცურათ თავს დაგვეცა, საზღვრებზე დაჰდგარ დარაჯებს ქურდულათ ყელი გამოგვიჭრა, მხეცურათ მორბოდა, რომ ჩვენი მშვიდობიანი მცხოვრებლების სახლკარი დაენგრია, ოჯახი გაენადგურებია და აეწიოკებია.

ეს თავის თვალით იხილეს ევროპის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა და მთელ ევროპას აცნობებს, რომ ბოლშევიკები თავს კი არ იცავენ—პირიქით თვითონ მშვიდობიან ხალხს მხეცურათ თავს ესხმიან და ანადგურებენ. ბოლშევიკების ბარბაროსობა დღეს დამტკიცდა, მთელი ევროპის წინაშე დადასტურდა. ჩვენ ეს აქამდიც ვიცოდით, მაგრამ საჭირო იყო ამაში სხვა დარწმუნებულიყო.

დღევანდელმა ომმა ნათელჰყო ბოლშევიკების ბარბაროსობა და ჩვენი მათ წინააღმდეგ სიკვდილ-სასიცოცხლო გამოსვლა. ევროპისათვის ცხადია, რომ ჩვენში ბოლშევიკური მიმდინარეობა, რასაც დაჟინებით გვწამებდენ, რადგან სოციალისტური მთავრობა გვყავდა, არ ყოფილა და არც იქნება.

დღეს დაღვრილი სისხლი არის ამის საბუთი, ეს წმინდა სისხლი ლალადებს საქვეყნო ჭეშმარიტებას; ეს კი მეტათ საჭიროა, რადგან 21 თებერვალს ლონდონის კონფერენცია გაიხსნა და იქ სულ სხვა სახით წარდგება მოსკოვის წარმომადგენელი, იქ სულ სხვა ენით მოიხსენებს რუსეთის დამქცევი ბოლშევიზმი.

იმავე კონფერენციაზე სრულიად გაქარწყლდება რაც ცილის წამება იყო ჩვენი მტრებისაგან საქართველოზე.

მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. კულტურული ქვეყნები, სახელმწიფოებრივი წესწყობილების რწმენის მატარებელნი ყველა ჩვენ უნდა მოგვემხროს და ყველამ ოჯახის წევრათ უნდა გვიცნოს.

დღევანდელი ომი და ამით შექმნილი გარემოება ევროპაში არსებულ სოციალისტურ წრეებსაც და უკარგავს ბოლშევიკებისადმი თანაგრძნობის ნასახს. ბარბაროსობის გამართლება და მით უმეტეს დაცვა არც ერთ ევროპიელს არ დაშვენდება, ამას ევროპიელი ვინც უნდა იყოს, გულში რომ ჰქონდეს, პირით ვერ იტყვის.

ჩვენს მდგომარეობას ეს არსებითად გაუმჯობესებს.

ორი სამი დღის შემდეგ მოველით, ევროპის კულტურული სახელმწიფოების ძლავრ სიტყვას, მათ პატიოსან მსჯავრს და მათ ნამდვილ, საიმედო დახმარებას ბნელი, ბარბაროსული ომის დასასრულებლათ.

ტრიფონ ჯაფარიძე.

ბრძოლის გზა

არც ერთ ბრძოლაში ქართველი ერი ისე ერთსულოვანი არ ყოფილა, როგორც დღეს. მაგრამ არც ერთი მოპირდაპირე ისე ვერაგული არ ყოფილა ჩვენი სახელმწიფოებრივობის, როგორც ვოიაჟორები კომუნისტი—რუსები. ამ ერთი საუკუნის განმავლობაში არც ერთხელ ჩვენი საზღვრები ასე მოკირწყლული არ ყოფილა გაღებული სისხლით, როგორც ახლა არის, მაგრამ არც ერთი სისხლი ისე უმწიკვლო და წმინდა არ იყო როგორიც ახლაა. არც ერთი ბრძოლა ისე გადამწყვეტი არ ყოფილა ჩვენი ქვეყნისთვის, როგორც ახლა, და სამაგიეროთ არც ერთი გამარჯვება ისე სახელოვანი არ ყოფილა, როგორიც ახლანდელი.

ისტორიაში საქართველოს ფართო ადგილი უნდა, და ამ ადგილს დღევანდელი გამარჯვება მოუპოებს. ყოველი ერის დამოუკიდებლობა ისტორიული აუცილებლობით—ომით და სისხლის ღვრით უნდა დაგვირგვინდეს, და ჩვენ დამოუკიდებლობა საც დღევანდელმა ომმა უნდა დასვას თავის ბეჭედი.

ქართული ჯარი და გვარდია იმარჯვებს და თავის გამარჯვებით მტრისათვის სამუდამო სამარეს ამზადებს ეს მტრები არასოდეს ისე მრავალრიცხოვანი არ ყოფილან, როგორც დღეს არიან, და არასოდეს ისეთი გონება აბნეული მტერი საქართველოს საზღვარს არ მოდგომია, როგორც დღეს. ერთ მხარეზე სომეხი, თათარი, რუსი, დაქირავებული შავკანიანები და სხვა.. მეორე მხარეზე ქართველი ჯარი და გვარდია სდგას. პირველნი უკულტურონი—ავაზაკური მიზნებით, და ბოროტი სულით არიან შეერთებული, სამაგიეროთ ჩვენი სახელოვანი ჯარის და გვარდიის მხარეზეა მთელი კულტურული ევროპა. ჩვენ ჯარს და გვარდიას მტლათ ედება ზურგში დარჩენილნი ქართველნი. ჩვენი ჯარი და გვარდია ევროპის კულტურის ვერდენია და ეს ვერდები დღეს უძლეველი უნდა დარჩეს. ჯარი და გვარდია ქართველი პირმშოიდან შემდგარნი მსოფლიო ისტორიაში უზარმაზარ ადგილს იმზადებს. ჩვენ ჯარსა და გვარდიას განათლებული ევროპა დაფნის გვირგვინს უმზადებს, რუსეთის კომუნიზმი თავის სამარეს საქართველოს დედა ქალაქიდან თხრის, ეს სამარე გრძელი და საზიზღარი მთელი განათლებული ქვეყნებისთვის გვამებით იქნება აღვსილი. კომუნიზმის დასამარება ახლა დაიწყო და სახელოვანი ჯარი და გვარდია მას ბოლომდე დამარხავს. ჩვენი გამუდმებული საუკუნოებიდან ჩვენ წინააღმდეგ დარაზმული მტრები დღეს ცდილობენ დაფლეთილი ტანსაცმელი ქართველების ავლადიდებით გაანაბლონ. დამშეული მუცლები მათ ჩვენ ქვეყანაში უნდათ გაიძღონ. მაგრამ ექსპერიმენტი მოხდენილია და აწ მხოლოდ შედეგი უნდა იგემონ; შედეგი კითხეთ ჩვენ სახელოვან ჯარს და, ბრძოლაში გამობრძმედილ გვარდიას.

საქართველომ დიდი ბრძოლის გზა განვლო, და ეს ბრძოლის გზა მუდამ თავდაცვისკენ იყო მიმართული. თავდაცვამ მყუდროება ვერ მოგვიპოვა. დღევანდელ სისხლს თავდაცვა არ ყოფნის; თუ დღემდი წითელი ხიდი განაპირა ადგილი იყო ჩვენი რესპუბლიკის, დღეს გეოგრაფიული ცენტრი უნდა გახდეს, თუ გინდ ამ ცენტრმა მანამდე იარსებოს, რამდენ სამუდამოთ უზრუნველ ყოფილი არ ვიქნებით ავაზაკ მეზობლებისგან.

ბრძოლა დაიწყო და ინიციატივა სომხის ერმა იკისრა. სომხეთი ისტორიისგან განწირული ყოფილა. დღევანდელი სომხეთი თათრის ლუკმის ნარჩენია. ეს ნარჩენი კომუნისტებმა კიდევ შეამცირეს; უკანასკნელი ჯგუფი კი ჩვენს ჯარს და გვარდიას შეეწირება. უკანასკნელი ცნობებით სომხეთში გადატრიალება მოხდა, მაგრამ ჩვენ მოკავშირეთ არც ერთი ფერის სომხეთი არ გამოდგება. სომხის ერი სამხეერპლოსთან დგას და ზვარაკი უნდა შეწირულ იქნეს. ჩვენი ბრძოლა უნდა გაგრძელდეს მანამ, რამდე სამუდამო გარდაუვალი ზღუდე არ აიგება ჩრდილოეთის საზღვრებზე.

ქართველი ერი ერთსულოვნათ იბრძოლებს ბოლომდე. მტერს უნდა საქართველოში შემოსვლა, მაგრამ ეს მანამ არ მოხდება, რამდე უკანასკნელი ქართველი არ განწირება. ისტორიამ იცის უკანასკნელი ბერძნის სახელი. მაგრამ ვერავინ ვერ იხილავს ისტორიაში უკანასკნელი ქართველის გვარს, თუმცა შესაძლებელია რომ დღევანდელმა ბრძოლამ უკანასკნელი სომეხი აღმოაჩინოს.

ბრძოლა დაიწყო და მანამ არ შეჩერდება, რამდე ქართული ჯარის და გვარდიის სარდალი ბაქოს ქვაბებში ქართულ დროშას არ ჩაასობს.

ჯარი და გვარდია მიტომ იბრძვის, რომ მას სწამს ბრძოლის უმწიკვლო მიზანი, იცის რომ მთელი ქართველი ერი დღეს ერთნაირათ ფიქრობს. და ისიც ნათელია მისთვის რომ, მსოფლიო კულტურაც მისკენ არის.

ჩვენ ვიცქირებით განაპირა სანგრებისკენ, მაგრამ თუ თავდავიწყებულმა მინაურმა უწმუნოებმა, ნიგნი სანგრები გაგვიმართეს, ჩვენ მათაც ვაჩვენებთ რომ ქართველმა ერმა მოთმინება დაკარგა.

ბრძოლა დაწყებულია. ხმალი მზეზე ტრიალებს, ის უშედეგოთ არ ჩაეგება, ეს იცოდეს მტერმა.

ბიკ. მუხურგელი.

გენერალ-გუბერნატორის ბრძანება.

გთხოვთ მოათავსოთ თქვენს გაზეთში შემდეგი: -ბინების განაწილებისა და საერთოდ საევაკუაციო საქმე ძინდობილი აქვს ჩემ მიერ ქალაქის გამგეობის წევრს ალექსანდრე ჯაფარიძეს და მის დაუკითხავათ არც რომელიმე დაწესებულებას, არც კერძო პირთ ნება არა აქვთ დაიკავონ ესა თუ ის ბინა.

გენერალ გუბერნატორი

კ. სულაქველიძე.

მთავრობის თავმჯდომარის დეპეში.

შვიდი დღის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ თბილისის კარებთან შვიდჯერ მეტ მტერთან 25 ამა თვეს დილით იძულებული ვიყავით მცხეთისაკენ დაგვეხია და თბილისი დაგვეტოვებია. ამით ჩვენ შევინახეთ საომარი ცოცხალი ძალა, შევამოკლეთ ფრონტი და დავიწყებთ ბრძოლას კიდევ უფრო მეტის ენერგიით და თბილისიდან და მთელი საქართველოდან მტრის გაძევებას. თბილისის მტერთა მიერ დაპყრობა არ ნიშნავს საქართველოს დაპყრობა პირიქით თბილისის დატოვებამ უნდა მოგვცეს მეტი ძალა, მოთმინება, მხნეობა და ენერგია ბრძოლის გასაგრძელებლად და გათელილ უფლებების აღსადგენათ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ მცირე რიცხოვანი ბურები ორ წელიწადს ებრძოდენ ინგლისს, და ბოლოს აიძულეს საპატიო ზავის ჩამოგდება. მაშ მოგმართავთ თქვენ: დაწყებული მუშაობა ოდნავათაც არ შეაჩეროთ, ჯარი და სურსათი

თვალყური ადევნეთ მოღალატეებს

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

მოკრივოთ და მთავრობის სარდლის განკარგულებაში გადავცემთ ამასთანავე გავალებთ ყოველივე ძალ-ღონე მიიღოთ რომ წესიერება არ დაირღვეს; არც ერთი მოქალაქე დამშვიდებულს არ მიეხმაროს და დახმარება არ გაუწიოს. ყველა ასეთივე საეჭვო პირები ეხლავე მოაშორეთ სოფლებს და ქალაქებს. ჩვენ უნდა გვქონდეს ერთი ფრონტი — ფრონტი საქართველოს დემოკრატიისა მოსკოვის იმპერიალისტების წინააღმდეგ არავითარი ყოყმანი, არც სიმხდალე.

მომავალი ჩვენია მთავრობის და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე

ნ. ჟორდანია.

ახალი ამბები

ფიცი თავდაცვისათვის. გუშინ დღის 1 საათზე ქალაქის ბაღში შედგა დიდი მიტინგი. პირველი სიტყვა წარმოთქვა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ ლორთქიფანიძემ. თავის გრძნობიერ სიტყვაში მან სავსებით დაასურათა მდგომარეობის სიმწვავე და მოუწოდა ხალხს სიმშვიდისა და მტკიცე ნებისყოფისაკენ. შემდეგ გრძნობიერი სიტყვები წარმოთქვეს დამფუძნებელი კრების წევრმა იოსებ მაჭავარიანმა და ტრიფონ ჯაფარიძემ, რომლებმაც სრული იმედი გამოთქვეს გამარჯვებისა; ილაპარაკეს გრ. ლოლიძემ, კაკაბაძემ, გოგიაშვილმა ნ. ქუმბურიძემ და დასასრულ ლ. გრიგოლიამ.

მრავალრიცხოვან მიტინგმა ქუდის მოხდისა და მარჯვენა ხელის აწევით ფიცი დასდო, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ მშობელი ქვეყნის დასაცავად.

მფრინავი რაზმი. დემოკრატიული პარტიის სამხედრო შტაბი ადგენს მფრინავ სანიტარულ რაზმს. რაზმი პირველ საჭიროებისამებრ გაემგზავრება ფრონტზე. რაზმში იღებენ ყველას 19 წ. ზევით და იმ ქალებს, რომელთაც სათანადო მოწმობა ექნებათ.

ამ რაზმს ლექციებს უკითხავენ: პროფ. ტიხონოვიჩი, ვასილ წერეთელი, და სხვა ექიმები გაზეთ „ერის" რედაქციაში. მსმენელებს აქვთ პრაქტიკული მუშაობაც საავადმყოფოებში.

უცხოეთში

კიევის აჯანყება.

ლონდონი, „ტაიმსი" იუწყება: მოულოდნელად კიევი აჯანყებულთა ხელში გადავიდა, რომელთაც შეუერთდა არსენალისა და რკინის გზის მუშები. კომისრები და საბჭოთა რუსეთის პასუხის-მგებელი პირები გაიქცნენ.

— საბჭოთა პრესა აქვეყნებს ცნობებს სემირეჩინსკაში აჯანყების შესახებ. აჯანყებულნი საუცხოვოდ შეიარაღებულნი არიან და საშინლად სდევნიან ბოლშევიკებს. პირველ შეტაკებაში წითლებმა დაჰკარგეს მოკლული და დაჭრილი 1000.

ჩრეზვიჩაიკის რეპრესიები.

პარიზი. „ფიგარო" იუწყება: მოსკოვის ჩრეზვიჩაიკამ თავის რეპრესიები ხელ ახლა განაახლა. ერთი კვირის განმავლობაში დახვრიტეს 347 კაცი.

სამშობლოს

მე შენ შეგწირავ, ჩემო სამშობლო,
ჩემს უძვირფასეს სულის კვეთებას,
მე შენ შეგწირავ წმინდა სიყვარულს,
მშობლის ტკბილ გრძნობას, ღვთისა ვედრებას.

—

მე შენ შეგწირავ, ჩემო ლამაზო,
რაც კი ძვირფასი რამ მაბადია,
შენ სადღეგრძელოდ ყოველ წამს, მუდამ
გულის კარები მექნება ღია.

—

დეე, მოვკვდე მე, მხოლოდ შენ იყავ
ისევ ლამაზი და მოციმციმე,
და ამ იმედით, ღიმილით პირზე,
შენსა სანაცვლოთ თავს შევსწირავ მე!..

ცახელის-ქალი (თამარ).

22 თებერვალს
1921 წელს.

დემოკრატიული პარტიის რაზმები.

დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა გუშინ სამხედრო ტაძრის გალავანში გამართული ალლუმი. საქართველოს დემოკრატიულ პარტიის თავდამცველ რაზმის; რაზმი შედგენილია მთავარ კომიტეტის მიერ პოლკ. დავ. ვაჩნაძის უფროსობით. რაზმი, სამხედრო წესრიგით შეიარაღებული, ჩამწკრივდა მოედანზე და მოელოდა ბრძანებას.

პოლკ. ვაჩნაძის ბრძანებით რაზმმა ოთხ კალონად შეჰკრა კამარა. ამ დროს სამხედრო ტაძრის გალავანში მოვიდა საქართველოს დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტის მთელი შემადგენლობა.

კომიტეტის სახელით რაზმს მხურვალე პატრიოტულ სიტყვით მიმართა ა. სპ. კედიამ.

ბ. სპ. კედიას სიტყვა მქუხარე ტაშით და „ვაშას". ყიჟინით დაჰფარა აღფრთოვანებულმა ხალხმა.

შემდეგ რაზმის სახელით მადლობა მოახსენა მთავარ კომიტეტს რაზმის უფროსმა პოლკ. ვაჩნაძემ და შეჰფიცა, რომ რაზმი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს

მთელმა რაზმმა ერთხმად შესძახა: „ვფიცავთ, ვფიცავთო"! ნაშუადღევის 1 საათზე დახათვალიერებლად გალავანში მობრძანდა გენ. გუბერნატორი ბ. ჩხიკვიშვილი, რომელმაც მთავარ კომიტეტის პრეზიდიუმის თანხლებით დაათვალიერა რაზმი და აღმაფრთოვანებულ სიტყვით მიმართა მას.

რაზმმა „ვაშას" ძახილით დაჰფარა ბ. ჩხიკვიშვილის სიტყვები.

შემდეგ გენ. გუბერნატორმა მიმართა რაზმის უფროსს ბ. ვაჩნაძეს და მთავარ კომიტეტის წევრებს შემდეგი სიტყვებით: „მოგესალმებით თქვენ, როგორც მთავრობის წარმომადგენელი და გიძღვნით მადლობას იმ დიად მუშაობისათვის" რომელსაც თქვენ ეწეოდით ქვეყნის დაცვის საქმეში."

გენ. გუბერნატორი „ვაშას" ძახილით გააცილეს გალავნიდან, რაზმის ნაწილები კი ქალაქის დანიშნულ ადგილებისკენ გაემართნენ.

„(საქართველო"

გურიაში და აჭარაში

გურიიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ შემდეგს: გურიაში და აჭარაში დიდი წესრიგი სუფევს. მთელი ხალხი ფეხზეა შეიარაღებული და საომრად გამზადებული.

ზოგიერთი ნაწილები უკვე დაიძრნენ ადგილებიდან.

გურიაში ხალხმა დიდძალი სიმინდი გაიღო ომის საჭიროებისთვის და აგროვებენ ფულს.

ოჯახში რჩებიან მარტო ქალები და მცირე წლოვანნი. გაცემულია ბრძანება ბოლშევიკების და საეჭვო პირთა დატუსაღებისა.

აჭარის ყველა სოფლებში სდგება მოხალისეთა რაზმები.

აჭარაში.

ბათომი. თებერ. 20. ქობულეთის უბნის ქართველ მაჰმადიანთა მრავალრიცხოვანმა ყრილობამ მოისმინა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ისიდორე რამიშვილის და მეჯლისის თავმჯდომარის მემედ აბაშიძის საქართველოზე ბოლშევიკური ჯარების თავდასხმის შესახებ. მიესალმება მთავრობას, უსურვებს საქართველოს შემოსულ მტერზე სრულ გამარჯვებას და აღუთქვამს დახმარებას. კრების თავმჯდომარე **ბახილაშვილი.**

გამარჯვება დარიალთან

დარიალის ხეობაში ჩვენმა ჯარმა და მოხევეებმა მტერს შემოუარეს და დაამარცხეს.

დარიალის ფრონტი

მტრის ცდა, — მიასლოვებოდა ჩვენი მოწინავე ჯარის სადარაჯოებს დარიალთან უშედეგოდ ჩატარდა და მოგერიებული იქნა.

კახეთის ფრონტი.

კახეთში დაიწყო ადგილობრივი გლეხების დიდი პარტიზანული ომი წითელ არმიელების კავალერიის წინააღმდეგ.

გაგრის ფრონტი

გაგრის მიმართულებით მტრის შემოტევა შეჩერებულია.

ბიულეტენი

დამფუძნებელი კრების თებერვლის 21 საგანგებო სხდომისა

1921 წელს, თებერვლის 21-ს, საღამოს $4\frac{1}{2}$ საათზე შესდგა დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელზედაც მიღებულ და საბოლოოდ დამტკიცებულ იქნა საქართველოს კონსტიტუცია. სხდომა გახსნა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარემ ნ. ჩხეიძემ, რომლის თავმჯდომარეობითაც მიღებულ იქნა მუხლობრივად კონსტიტუციის მე-4-ე თავი. შემდეგ სხდომას თავმჯდომარეობდა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. მცირე შესწორებებით დამფუძნებელმა კრებამ მიიღო და საბოლოოდ დაამტკიცა საქართველოს კონსტიტუცია.

კონსტიტუციის მიღებას დამფუძნებელი კრება ხანგრძლივი ტაშის ცემით შეხვდა. სხვათა შორის კონსტიტუციის მიღების გამო დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსმა ამხანაგმა ალ. ლომთათიძემ შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

მოქალაქენო! 19 თებერვალს, რუსეთის ბანდიტები, სამშობლოდან გაქცეულ ქართველ მოღალატეთა მეთაურობით თბილისის აღებას აპირებდენ. ჩვენმა ძლევამოსილმა ლაშქარმა მიჰრილი მტერი დაიფრინა და დღეს თუ ხვალ საბოლოოდ დაამარცხებს მას.

21 თებერვალს ღამის 10 საათზე და 18 წ. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს კონსტიტუცია და ამგვარად, საქართველოს უმენაესმა ორგანომ ერთის მხრით, და ჩვენმა გმირებმა, მეორეს მხრით, ამ ორ დღეში გააკეთეს ორი უდიდესი საქმე: შეიარაღებულმა ძალამ იხსნა საქართველო და მისი ხალხი ბანდიტებისაგან და ამავე დროს ხალხის რჩეულთ მიიღეს კონსტიტუცია, რომლის საშვალებით, ჩვენი ხალხი, უფლებრივ ნიადაგზე შემდგარი, გამოსჭედავს ჩვენი ერის საუკეთესო მომავალს. გაუმარჯოს ჩვენ ხალხს, ჩვენ შეიარაღებულ ძალას, გაუმარჯოს თავისუფალ, დემოკრატიულ დამოუკიდებელ საქართველოს (ვაშას ძახილი, ხანგრძლივი ოვაციები და ტაში).

კონსტიტუციის მიღების შემდეგ მთავრობის თავმჯდომარემ, ბ-მა **ნოე ჟორდანიამ** დამფუძნებელ კრებას წარუდგინა შემდეგი სიტყვიერი განცხადება სამხედრო და პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ:

„ეხლა თანდათან ირკვევა ომის გამომწვევი მიზეზი. და აგრეთვე ის თუ რა მსვლელობას მიიღებს ეს ომი ახლო მომავალში.

ირკვევა ის, რომ საბჭოთა მთავრობას დიდი ხანია ჰქონია განზრახვა, რომ საქართველოში მოხდეს გადატრიალება, და საბჭოთა მთავრობა იქნეს გამოცხადებული, მაგრამ, ისინი ამას აქამდის ჯერ ვერ ახორციელებდენ, იმიტომ რომ არ ჰქონდათ ერთნაირი საკმაო საბაბი. მხოლოდ ახლა, ამ ათი დღის წინათ, მათ იშოვეს ეს საბაბი ლორის ოლქში. იქ მათ მოაწყვეს ჩუმი შეთქმულება, დაარქვეს მას ხალხის გამოსვლა საქართველოს წინააღმდეგ, იქ გამოაცხადეს ადგილობრივი საბჭოთა მთავრობა, და აი, ვითომ იმათ მოსახმარებლად, მოდის რუსეთის ჯარი. სწორედ 15 ამა თვეს გამოიცა ბრძანება აზერბეიჯანში და სომხეთში მყოფ საბჭოთა ჯარებისადმი, და ეს ბრძანება ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ტყვეებისაგან. ამ ბრძანებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილია აღება თბილისისა და მოხდენა საქართველოს საბჭოთა სისტემაზე გადაყვანისა. იქ არის აღნუსხული, თუ რომელმა ჯარმა რა უნდა გააკეთოს, როდის უნდა აიღოს ესა თუ ის დაბა, ქალაქი, თუ სოფელი, და ბოლოს დასკვნის ასე, რომ 19 თებერვალს უნდა ავიღოთ ტფილისიო. პირველი შემოტევა ამ ჯარისა, როგორც იცით, იყო უეცარი, მოულოდნელი, სრულიად მუხანათური. და აი ამ უეცარმა მოულოდნელმა შემოტევამ ჩვენი ჯარის მდგომარეობა შეარყია იქ, სადაც ეს ჯარი იდგა, შეარყია იმდენათ, რომ იყო მომენტი, როცა იმ ჯარებს, რომელიც გვყავდა საზღვრებზე ბორჩალოს მაზრაში სრულიად არ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა. მაგრამ, საბედნიეროთ, უნდა ითქვას ის, რომ როგორც ჯარმა, ისე ჩვენმა ხალხმა ჩქარა შეიგნო მდგომარეობა, გამოსწორდა, და უკვე დროზე ჩაება ომის ორგანიზაციულ მუშაობაში. ეს სწრაფი გამოსწორება მდგომარეობისა, ეს ხელ ახლა თავის მოყრა იმ ჯარებისა, რომელიც დამარცხებული, — ეს სწრაფად მოკრეფა და ს[illegible] შეკავშირება არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენ კიდევ აქა ვართ დღეს. ჩვენ ვიხევდით უკან, ეს დავიწყეთ ლორიდან, როდესაც შევატყვეთ, რომ ამ მუხანათურმა თავდასხმამ ჩვენი ჯარი შეარყია ერთის მხრით, და მეორეს მხრით, თუ აზერბეიჯანი დაგვესხმებოდა თავს, ჩვენი მიზანი იყო ეს შერყეული ჯარი ბორჩალოს მაზრიდან უკან გამოგვეყვანა, და საუკეთესო პოზიციები დაგვეკავებინა. ამიტომ უკან დავიხიეთ. დახევა მოხდა ალაგ-ალაგ მწყობრად, ალაგ-ალაგ კი არ იყო წარმოებული მწყობრად, როგორც ეს შეეფერება დახეულ ჯარს. მაგრამ საერთოდ, თითქმის დიდი ნაწილი ჯარისა, რომელიც იქ იყო, — წავიდოდა მწყობ-

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲮᲛᲐᲚᲡ ᲘᲪᲐᲠ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად თუ ცალ ცალკე—გამოვიდა.

ის ხალხი, რომელიც გამოვიდა მოღლილი იყო, მაგრამ სამოლოოდ გატეხილი – არა. მოღლილი იყო და საჭიროებდა მხოლოდ ერთი-ორი დღით დასვენებას. რომ ისეთივე ჯარისკაცებად გამხდარიყვენ, როგორც ახლად გამოსული მეომრები. აქ არ მომხდარა ის, რაც ჩვენ ვიხილეთ ბათომში 1918 წელს. საკვირველი ის არის, რომ, თუმცა ასეთი უეცარი თავდასხმა მოხდა, უეცარი გამოსვლა, მაგრამ დეზერტირობა არ ყოფილა.

ამნაირად, ამ დროს განმავლობაში ჩვენ შევძელითის, რომ მტრის წინააღმდეგ გამოგვეყვანა საუკეთესო გაწვრთნილი, შეიარაღებული, და ერთსულოვანი გაჟღენთილი ჯარი.

პირველი გენერალური ბრძოლა, რომელიც ჩვენ მივეცით საბჭოთა ჯარებს. ეს იყო ღამით 19 ს. ამ დრომდე ჩვენ მათთვის არასოდეს გენერალური ბრძოლა არ მიგვიცია, და არც მათ მოუცია ჩვენთვის.

ბრძოლა წარმოვბდა დიდ ფრონტზე, დაახლოებით 100 ვერსამდე. ამ ფრონტს ჰქონდა სამი ადგილი: ფრთა მარჯვენ არცხენა და ცენტრი. 18 და ... ღამით მოხდა ამ ფრონტის, ჩვენი ფრონტის წინააღმდეგ, შემოტევა მთელ ამ მანძილზე და თქვენ გახსოვთ ეს დიდებული ომი.

19 დილით გამოიარკვა. რომ ჩვენ შევძელით გარღვევა მტრის ცენტრის, და აქ იგემა მტერმა სრული დამარცხება.

შემდეგ, 19 დღით, მოხდა ბრძოლა ჩვენ მარცხენა ფრთაზე.

იქ. ყარაიაზის მიდამოებში, მტერი იყო მეტათ წინწამოსული, მოსული—მარტყობში, ლილოში, და აქ 19, დღით, მოხდა ჩვენი შეტაკება მტერთან, და მტერს დავახვევინეთ და გადავრეკეთ ყარაიაზისაკენ. მხოლოდ დღეს 11, და წუხელ მოხდა დიდი შეტაკება მარჯვენა ფრთაზე. აქ მემარჯვენე ფრთის ბრძოლა თითქმის ისეთივე იყო, როგორც ცენტრში. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ჯარები შეტევას აწარმოებს მეტად მედგრათ, მაგრად, და იჩენს დიდ დისციპლინას. წუხელ ჩვენ ჯარებს რომელნიც დაბანაკებულნი იყვნენ კოჯორის მიდამოებში, თავს დაესხნენ და მოანდომეს ერთიადგილის, რომელიც, ასე ვსთქვათ ღიათ იყო დარჩენილი, დარღვევა. აქ მათ შეხვდენ იუნკრები და, თქვენ გეხსომებათ, რომ აქ გაიმართა დიდი ბრძოლა. იქ იყო ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა [illegible]ტეებით და ხიშტებით. ისე რომ [illegible]ახლოს ჩვენ და ისინი ერთმანეთთან არ მიესულვართ ამ ბრძოლაში, მაგრამ, იქაც სადაც ისინი დამარცხებული იქნენ (მხურვალე ტაში ხმები: „ვაშა“) იქ, იმ მიდამოებში მტერს ეჭირა ბევრი მაღლობი ადგილები. ზოგა, ისეთი მაღლობი ადგილი ეჭირა: რომ იქ რომ დაედგათ ზარბაზანი, აქ თბილისს თითქმის გაანადგურებდენ. ჩვენ გუშინ მივიღეთ ზომები, რომ ეს მაღლობი ადგილები წ-ვეერთმია ეს იყო პირველი ნაბიჯი ჩვენი გამარჯვებისა- და უნდა ვთქვათ, რომ ისეთი მიუვალი ადგილები, ისეთი მთები, სადაც მტერი იდგა და გამაგრებული იყო, ჩვენმა გვარდიის ნაწილებმა ანღეს კუშინ შეტევით ისე, რომ არც ერთი კაცი არ დაუკარგნიათ (ხმები გაუმარჯოს და ხანგრძლივი ტაში).

ამ ომში გამოირკვა ერთი რამ, რომ საბჭოთა ჯარი ვერ უძლებს შეტევას. თითონ მაგრად მოდის, მაგრამ, თუ შენ შეუტიე, ვერ სძლებს. თორემ სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა ასეთი მაღლობი ადგილების დატოვება. რომ ჰქონდეთ ენარი შეტევის გაძლებისა.

უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ჯარი და გვარდია ჩენს სამაგალითო სიმამაცეს (აქ კრება ფეხზე ადგომით ტაშის ცემით და „ვაშა“ და „გაუმარჯოს“ ძახილით მიესალმება ჯარსა და გვარდიას).

მე ვფიქრობ, რომ ჩვენს ხალხში გაიღვიძა, იფეთქა ჩვენი ძველი წინაპრების სისხლმა (ძახილი „ვაშა“ და „გაუმარჯოს“ და ტაში) იმ წინაპრებისა, რომელნიც დიდ მოზღვავებულ მტერს მცირე გუნდით ამარცხებდნენ; ის, რაც ჩვენ მოვიმოქმედეთ ბრძოლის ველზე, მიენატრებათ ყველა დიდ და ძლიერ სახელმწიფოების ჯარებს დღევანდელ პირობებში (ხმები „მართალია“). თვითეული ჩვენი მეომარი დარწმუნებულია იმაში, რომ ან უნდა გავიმარჯვოთ, ან უნდა დავიხოცოთ (ტაში) და მე მგონია, რომ ამით ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია. (ტაში და ვაშა) ჩვენ დღეს ისე ვართ გამაგრებული თფილისში, რომ თფილისის წართმევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. (ტაში და ვაშა) თფილისმა უკვე გამოიყენა თავისი ბუნებრივი და ხელოვნური სიმაგრეების სიმტკიცე. თფილისი არის, და უნდა გადავაქციოთ საქართველოს ციხედენათ, (ტაში) და მე ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი თბილისი, ეს ჩვენი ციხედენი, საბოლოოდ გადასწყვეტს ამ ჩვენ ბრძოლას.

და ნუ შეგვეშინდება ჩვენ იმის, თუ რა მოხდება სხვაგან პროვინციაში. ჩვენ არ შეგვარყევს ის, რომ კახეთის, ან ბორჩალოს მაზრების ზოგი სოფლები, გადავიდა მტრის ხელში (ხმები მართალია. კედია: „ეს დროებითია“). სანამ თფელისი გამაგრებულია, და ჩვენ მაგრად ვდგევართ, მე ვამბობ, რომ ბრძოლის ბედი აქ გადაწყდება, და აქ გაიმარჯვება ნამდვილი სამარე ჩვენი მოწინააღმდეგისა (ტაში).

ჩვენი საგარეო მდგომარეობა გამაგრებულია იმ მხრით რომ კოალიციას უკვე ჩამოშორდა სომხეთი. სომხეთში მოხდა გადატრიალება. საბჭოთა მთავრობა ჩამოგდებულია, დატყვევებული, და მის ალაგას გამოცხადდა ახალი მთავრობა, და ჩვენ მან უკვე მოგვმართა, რომ სურს დაიჭიროს მეგობრული კავშირი საქართველოსთან, და არავითარ შემთხვევაში არ იღებს და არც მიიღებს მონაწილეობას საქართველოს წინააღმდეგ ომში (ვეშაპელი: timeo Danaos) ბატონო, პოლიტიკაში მაგნაირ თქმულებით ვერ ვიხელმძღვანელებთ და არც ვიხელმძღვანელებთ, აქ გადამწყვეტია ანგარიში!

გარდა ამისა ჩვენ აქტიური დახმარება გაგვიწია საფრანგეთმა (ხმები „გაუმარჯოს“ „ვაშა“ და ტაში) საფრანგეთის ესკადრა მიეჭრა გაგრაში, და ჩვენ ჯარებთან ერთად გუშინ ებრძოდა მტერს და მტერი დამარცხებულ იქნა (ვაშა და ტაში. ვეშაპელი: „ეს სჯობია სომხეთს“)!

ამნაირად, ჩვენი შინაური სამხედრო მდგომარეობა ერთის მხრით, და საგარეო მდგომარეობა მეორეს მხრით. თან და თან მტკიცდება, და ჩვენ გვაქვს სრული იმედი, რომ შემდეგ და შემდეგ უარო და უფრო გამტკიცდება.

ახლა მინდა მოგახსენოთ იმაზე, თუ ვისი ინიციატივით, და ვინ მოუძღვის ამ საბჭოთა ჯარს საქართველოს წინააღმდეგ (ხმები: „მოღალატენი“) ალბათ იცით, რომ აქ გამოვიდა ფფრცელი და დარიგდა, სადაც სწერია შემდეგი: რომ შულავერში შესდგა საქართველოს მთავრობა (სიცილი და ხმაურობა) და ეს შულავერში შემდგარი საქართველოს მთავრობა არის თურმე ნამდვილი ჩვენი ხალხის მთავრობა, და მოუწოდებს ჩვენ ხალხს, რომ ჩვენი დამფუძნებელი კრებაც და დღევანდელი მთავრობა იქნეს გადაყენებული, გადაგდებული და შულავრის მთავრობა იცნოს (ნ. რამიშვილი: მალე გავრეკავთ აზერბეიჯანიდანაც). ის ხალხი, რომელსაც სურთ ჩვენში უცხო ხიშტების საშვალებით თავისი ძალა უფლება, თავისი მთავრობა დაამყაროს (ხმები: ზიზღი მათ) აი ეს ხალხი გახლავთ შემდეგი: მახარაძე ფილიპე, ორახელაშვილი მამია, მკივანი ბუბუ, ელიავა შალვა, ოკუჯავა მიშა, დუმბაძე ლადო, ნაზარეტიანი ომარი, გეგეჭკორი ალექსანდრე და კვირკველია (ნ. ჩხეიძე: ლევანკითლების მთავრობა ხმები: „კარგი კომპანიაა“. ზიზღი მათ) აბსოლუტურად ბ-ბო, ამ ქართველების, ჩვენი ძმაშვილების სურვილს, რომელნიც მოუძღვებიან მტერს და სურთ ქართველი ხალხის და ჯარის შემუსვრა სისხლითა და მახვილით, და საქართველოს ტირანებათ მოევლინონ,—ამას არასოდეს ქართველი ხალხი არ დასთანხმდება (ხმები: არასოდეს, ტაში) ამ შერცხვენას ქართველი ხალხი არასოდეს არავითარ საშუალებით არ მიიღებს თავის თავზე. (ხმები „მართალია“ ტაში) მას ამისთვის კი არ უმუშავია, ამისთვის არ ჩამოუგდია პეტერბურგის მთავრობა, რომ მიელო შულავრის მთავრობა (ტაში და ვაშა) მე ვამბობ, როცა ქართველი ხალხი გაიგებს რომელი ვაჟბატონები აპირებენენ მის ასე გათელვას, მაშინ ქართველი ხალხის სულიერი განწყობილება უფრო გამტკიცდება და იტყვის,—ან სიკვდილი ან გამარჯვება“ (ტაში, დიდი ოვაციები, წულაია: გაუმარჯოს ჩვენი ხალხის მეთაურს ნოე ჟორდანიას!)

მთავრობის თავმჯდომარის სიტყვა დამფუძნებელმა კრებამ დიდი აღფრთოვანებით მოისმინა. სიტყვის დასასრულს ბ-ნ ნოე ჟორდანიას დეპუტატებმა ფეხზე ადგომით ოვაციები გაუმართეს.

დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად დაადგინა დაბეჭდოს მთავრობის თავმჯდომარის სიტყვა და გაავრცელოს იგი ხალხში და ფრონტზე. ამასთანავე დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის თავმჯდომარის განცხადების გამო შემდეგი გადასავალი ფორმულა მიიღო:

„იღებს რა მხედველობაში, რომ საქართველოზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებენ ქართველი ხალხის ულირსნი შვილნი, დამფუძნებელი კრება ადგენს: ყველა ქართველი, რომელიც პირდაპირ მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში, ან ამ ბრძოლას აქტიურ დახმარებას უწევს, გამოცხადდეს საქართველოს ხალხის მოღალატეთ, ჩამოერთვას მთელი ქონება და მოესპოს საქართველოს კანონთა მფარველობა. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდოს მთავრობას.

დამფუძნებელმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება მთავრობის თავმჯდომარისა, საიდანაც გამოირკვა, რომ ქალაქ შულავერში შემდგარა ჯგუფი, რომელიც თავის თავს უწოდებს საქართველოს მთავრობას, და რომ აღნიშნული ჯგუფი მოუძღვის რუსეთის საბჭოთა ლაშქართ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ, ადგენს: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ომარ ფაიკი, ამაიაკ ნაზარეთიანი, ალექსანდრე გეგეჭკორი, კვირკველია აღიარებულნი იქნენ საქართველოს ხალხის მოღალატეებათ, ჩამოერთვას მათ მთელი ქონება და გამოცხადდენ საქართველოს კანონთა მფარველობის გარეშე.

დამფუძნებელი კრება ადგენს: მიენდოს მთავრობას მიიღოს ყოველგვარი ზომა, რომელსაც ის საჭიროთ დინ.ხავს თავდაცვისათვის ბრძოლის უკეთ მოსაწყობათ და რესპუბლიკის საბოლოოთ გამარჯვების უზრუნველსაყოფად“.

დასასრულ დამფუძნებელმა კრებამ მიანდო პრეზიდიუმს გაუგზავნოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალას და მთავარ სარდალს შემდეგი დეპეშა:

დამფუძნებელი კრება აღფრთოვანებით მოგესალმებათ თქვენ და თქვენ ხელძღვანელობით მომქმედ ჯარსა და გვარდიას, რომელთაც თავდადებით და გმირობით გადაარჩინეს სამშობლო გამხეცებულ მტრის ურდოების შემოსევას.

თებერვლის ცხრამეტის, ოცისა და ოცდაერთის ბრწყინვალე ბრძოლანი ოქროს ასოებით აღიბეჭდება საქართველოს ისტორიის ფურცლებზე, ხოლო შთამამავლობას იგი გადაეცემა როგორც საარაკო თქმულება ქართველი მეომრის ძლევამოსილებისა.

გაუმარჯოს საქართველოს შეიარაღებულ ძალას!

სახელი და დიდება ვინც სამშობლოს თავი შესწირა და გმირულათ აღსრულდა ბრძოლის ველზე!

თერჯოლის თემი.

12 თებერვალს მოხდა თერჯოლის თემის ხმოსანთა კრება, რომელსაც დაესწრო 18 ხმოსანი.

კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა ა. გველესიანი, მდივნად ი. ბარბაქაძე გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები:

1) დავით აფხაიძის დაკმაყოფილების შესახებ.

2 სარევიზიო კომიის და გამგეობის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ.

3. გამგეობის რეორგანიზაცია.

4. ფოსტის გადაზიდვა ზესტაფონში და ჩხარში.

5. სკოლების მდგომარეობა თემში.

6. პურღვინის დუქანი თერჯოლაში

1) პირველი საკითხის შესახებ კრებამ იქონია მსჯელობა და დადგინა დაკმაყოფილებულ იქმნეს დავით აფხაიძე 18 დღის მუშაობისათვის ოცდახუთი თუმნის ანგარიშით

2, მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის წევრმა ა. გველესიანმა, რომელმაც კრებას გააცნო გამგეობის მუშაობა და აღნიშნა იქ გამეფებული უთანხმოება გამგეობის წევრთა შორის. ამავე საკითხზე მოხსენება გააკეთა გამგეობის თავმჯდომარე ვასილ მაკარიძემ, რომელმაც აღნიშნა ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი მუშაობის ხელის მეშლელი. ამავე საკითხზე იმსჯელეს ხმოსნებმაც: ვლად. ნემსიწვერიძემ, დულა სალაძემ და გიორგი რობაქიძემ; სამივე ხმოსნის სიტყვიდან ნათლად ირკვეოდა, რომ ზემოდან დანიშნული და არა ხალხის მიერ არჩეული გამგეობის წევრი ვერ უძღოდა თავის საქმეს წესიერად და მისი წყალობით გამგეობაც ვერ მუშაობდა შეთანხმებულად. სარევიზიო კომისია, გამგეობის თავმჯდომარე და ხმოსნები ყველა ამტყუნებდა ერგემლიძეს, მხოლოდ ბ. ვლ. არეშიძემ იკისრა მისი ვექილობა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, და მისი საწინააღმდეგო სიტყვა წამოსთქვა მისივე ამხანაგმა სამაზრო ერობის გამგეობის რწმუნებულმა (მდიანმა) ანდრო ხანთაძემ. მეორე საკითხის შესახებ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ხმოსანთა ყრილობამ მოისმინა რა სარევიზიო კომისიის და გამგეობის მოქმედება, მწუხარება გამოსთქვა იმის შესახებ, რომ სოლიდარული მუშაობა არ ყოფილა გამგეობის, წევრთა შორის, ასეთ პირობებში მათ მუშაობას დამაკმაყოფილებელად სცნობს და გადადის მორიგ საკითხზე.

3) მოხდა რეორგანიზაცია ძველი გამგეობისა აირჩიეს ვასილ მაკარიძე, (ძველი-დარჩა მეორე ხმოსანთა კრებამდე.) და კოლია მაკარიძე სოციალ-დემოკრატებიდან. ჩვენმა ფრაქციამ გაიყვანა თავმჯდომარის ამხანაგად დიმიტრი არეშიძე.

4.) ახლად არჩეულ გამგეობას დაევალოს მოაწყოს ფოსტის გადაზიდვის საკითხი ზესტაფონს და ჩხარ. შუა და გასცეს იჯარით მისი გადაზიდვა.

5) დაევალოს გამგეობას ყურადღება მოაქციოს სკოლებს და მიიღოს ზომები პირველ რიგში შეაკეთონ შენობები

6) გაიხსნას პურ-ღვინის დუქანი, რადგან ეგეთი საჭიროებას წარმოადგენს.

ვ. გუთნურისპირელი.

მთავარი რედაქტორი კ. კაპანელი.
სარედაქციო კოლეგია

ექიმი
ი. ბ. მეგურიშვილი
ვენერიული, შინაგანი და საშარდო ორგანოთა სნეულებანი. (შეშხაპუნება 606 და 914) ავადმყ. მიღება საღამ. 5—8 საათამდი.
ჭავჭავაძის (გეგუთის) ქუჩა № 8. ქალაქის მეორე აფთიაქის ახლოს
თვ.

ქუთაისი, პუშკინის ქუჩა. საურთიერთო ნდობის საზოგადოების შენობა. სტამბა იოსებ ხელაძისა.